გია გელაშვილი

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

მაქს ფონ ტილმანი კავკასიის შესახებ

ბარონი მაქს ფონ ტილმანი (1846-1929) იყო გერმანელი დიპლომატი, პოლიტიკოსი და გერმანიის იმპერიის ხაზინის სახელმწიფო მდივანი. მან განათლება მიიღო ბერლინსა და ჰაიდელბერგში. 1864 წელს გახდა საქსო-ბორუსიის კორპორაციის წევრი. იყო განმათავისუფლებელი ომის გენერლის იოჰან ფონ ტილმანის შვილიშვილი. მისი მშობლები იყვნენ ფრანც ფონ ტილმანი და მატილდა ფონ ფრიბე.

დიპლომატიურ სამსახურში შესვლის შემდეგ მსახურობდა გერმანულ საელჩოებში პეტერბურგში, კოპენჰაგენში, ბერნში, ვაშინგტონში, ბრიუსელში, პარიზსა და კონსტანტინოპოლში. 1886 წელს გახდა გენერალური კონსული სოფიაში. 1888-94 წლებში იყო პრუსიის დესპანი დარმშტადტში, ჰამბურგსა და მიუნხენში. 1895-97 წლებში იყო ელჩად ვაშინგტონში. 1897 წლიდან მიიწვიეს სახელმწიფო მდივნად იმპერიის ხაზინაში, საიდანაც გავიდა 1903 წელს. ამას გარდა ის აღიარეს იოჰანიტების ორდენის (მალტის) რაინდად. 1909 წლიდან იყო პრუსიის ზედა პალატის წევრი.

როგორც დიპლომატმა მოაწყო ხანგრძლივი მოგზაურობა კავკასიაში, სპარსეთსა და ამერიკაში და გამოსცა სამოგზაურო ჩანაწერები. მას ეკუთვნის ჩვენთვის საინტერესო ვრცელი ნაშრომი „მოგზაურობა კავკასიაში, სპარსეთსა და აზიურ თურქეთში“ (ლაიფციგი, 1875), რაც იმავე წელს ითარგმნა ინგლისურად, ხოლო 1880 წელს ფრანგულად.

ჩვენს გეგმაშია ამ წიგნის იმ თავების თარგმნა და გამოცე-

მა, რაც ეხება საქართველოს და ნაწილობრივ კავკასიას, სადაც ტილმანი იმყოფებოდა 1872 წლის აგვისტო-სექტემბერში. წიგნი შეიცავს რვა თავსა და ავტორის წინასიტყვაობას. აქედან საქართველოს შესახებ ცნობები დაცულია მის II, III, IV და ნაწილობრივ I და VIII თავებში. ეს თავებია: I – ოდესიდან ფოთამდე; II – ფოთიდან ბორჯომამდე; III – ბორჯომიდან ტფილისამდე; IV – ტფილისიდან პეტროვსკამდე; VIII თავი წარმოადგენს საგანგებო დარიგებებს კავკასიაში წამსვლელი ტურისტებისთვის.

აქ შემდეგი ქვეთავებია გამოყოფილი: ა) სათანადო ლიტერატურისა და რუკების სია. ბ)სამოგზაუროდ შესაფერისი დრო. გ) ფოსტა და სავალდებულო პასპორტის სახეობები; ფოსტის მოვალეობები. დ) თან წასაღები ტანსაცმელი, მედიკამენტები, საჭირო ნივთები და პროდუქტები. ე) ადგილობრივი სასტუმროები, დუქნები, აუცილებელი ხარჯები და ფასები. ვ) მთავარი გზები და გვერდითი განშტოებები, გადასასვლელ-უღელტეხილები მთელ ქვეყანაში; მანძილები და მათი დაფარვის დრო; ტრანსპორტის სათანადო სახეები.

ყოველივე ჩამოთვლილი ძალზე საინტერესო ცნობების შემცველია. წიგნს ერთვის რამდენიმე სურათი: თბილისის ხედი, ბორჯომის დიდმთავრის სასახლე, ქართველი მუსიკოსები, ქართველი ქალი; ასევე, რუკა ტილმანის სამოგზაურო მარშრუტის აღნიშვნით. ჩვენ მიერ წარმოდგენილი ტექსტი მოთავსებულია აღნიშნული წიგნის პირველ თავში.

**

I თავი. ოდესიდან ფოთამდე [1]

ოდესა. სევასტოპოლი. ბაღჩისარაი. იალტა. ლივადია, ორიანდა, ალუშტა. ჩანჩქერი. ქერჩი. კავკასიის სანაპირო. სუხუმკალე. ჩასვლა ფოთში. კავკასიის ქვეყნები. მთავარი ქედი. დაღესტანი. მცირე კავკასია. დაბლობები. კავკასიის პოლიტიკური დაყოფა. გზები კავკასიაში. ნაოსნობა. რკინიგზები. კავკასიის

ხალხები: ქართველები, თათრები, სომხები, მთიელები, რუსები და უცხოელები. მართლწერა შემხვედრი სახელების.

ჩემი მოკლე საუბარი კავკასიის გეოგრაფიულ და პოლიტიკურ ვითარებაზე, მიზნად ისახავს მიაწოდოს ამ წიგნის მკითხველს ზოგი მონაცემი მათში გასარკვევად; აგრეთვე, ერთგვარად ამომწურავი აღწერა, მიუხედავად მოცულობისა, რასაც ისინი მოითხოვენ, ისედაც უკვე ჩემთვის მიუწვდომელია, რადგან სხვა არაფერი არსებობს, გარდა ცალკეული თვალსაჩინო გამოკვლევებისა და მთავრობის მხრივ მოცემული სტატისტიკური მონაცემებისა. ასეთის არსებობა მოითხოვს ხანგრძლივ შესწავლას ადგილზე. მკითხველი, რომელსაც ენდომება სტატისტიკური თვალსაზრისით მოიპოვოს განმარტებები, თუკი რუსული კარგად ეცოდინება, უნდა გამოიყენოს გენშტაბის ოფიცრების მიერ გენერალ **ობრუჩევის** ხელმძღვანელობით შედგენილი „რუსეთის სამხედრო სტატისტიკა“; გეოგრაფიული თვალსაზრისით კი – გენშტაბის ხუთვერსიანი რუკა. საუკეთესო სახელმძღვანელოდ ეთნოგრაფიასა და ბუნებისმეტყველებაში მოიძიება მხოლოდ ცალკეულ გაფანტულ შრომებში.

კავკასიის გამოცანა იწყება მისი სახელწოდებით. არც ერთ ეტიმოლოგს დღემდე არ მოუცია დამაჯერებელი ჰიპოთეზა მისი მნიშვნელობის შესახებ. რამდენადაც სავარაუდოა, პირველი მარცვალი უნდა ენათესავებოდეს სპარსულ სიტყვას *„კუ“* (მთა). აღმოსავლელებს უყვართ ერთი სახელით გააერთიანონ იმდენი მთა, რასაც თვალით ერთდროულად ხედავენ; ამიტომ კავკასიონი მათთვის ცალკეული ნაწილების სახელით არიან ცნობილი... ყველა ატლასი გვიჩვენებს კავკასიონის საყოველთაოდ ცნობილ მდებარეობას, როგორც გიგანტური კედლისა შავი და აზოვის ზღვებიდან კასპიის ზღვამდე, ისე რომ მნახველი შეჰყავთ შეცდომაში, თითქოს ტამანის ნახევარკუნძულზე უკვე გვხვდება მყინვარები და მუდმივი თოვლის ზოლები. მაგრამ გაოცებული რჩები, როცა ორთქლის გემით მთელი დღის მანძილზე მიცურავ მწვანე გორაკების და დაბალი მთების გასწვრივ. თვალსაჩინოდ

კავკასიონი იყოფა სამ ნაწილად; ან, თუ დაღესტანსაც საგანგებოდ გავითვალისწინებთ, ოთხ ნაწილად:

1. მთავარი ქედი ტამანის ნახევარკუნძულიდან წებელდას მაღალმთიან ხეობამდე, რომელიც კვებავს კოდორის ორივე სათავე ნაკადულებს; ეს უკანასკნელი ზღვას სუხუმ-კალეს სიახლოვეს ერთვის. კავკასიონის ეს ნაწილი აღიმართება ჩრდილო-დასავლეთიდან, თანდათან მაღლდება და სამხრეთ-აღმოსავლეთის ბოლოში თხემი აღწევს 6800 ფუტს, რომლის ზევითაც ცალკეული მწვერვალები ათასობით ფუტზე ჩანან; თუმცა უმეტესობა მუდმივი თოვლის ხაზს ვერ აღწევენ. ზღვისაკენ ის ციცაბოდ და ახლოს ეშვება, მაშინ როცა ჩრდილოეთით შორს განშტოებულ გორაკიან მიდამოდ ვრცელდება მას და ყუბანს შორის. შესაბამისად კავკასიონი ზღვისკენ გზავნის მხოლოდ უმნიშვნელო მდინარეებს, ხოლო ჩრდილოეთით პარალელურად მიმავალ დიდი რაოდენობის მნიშვნელოვან წყლებს. ჩერქეზთა გადასახლების [2] დროიდან ეს მხარე გამოუყენებელია, ხშირი ტყეები ავსებენ ხეობებს და ყუბანის ზემო შენაკადებზე ცხოვრობს უიშვიათესი გარეული ცხოველი – პირველყოფილი ხარი.

2. წებელდიდან ყაზბეგის გადასასვლელამდე ქედი მნიშვნელოვნად იცვლის ხასიათს. თხემის სიმაღლე ადის მუდმივი თოვლის საზღვრამდე, რომელიც აღწევს აქ 12 000 ფუტს; მხოლოდ რამდენიმე უღელტეხილი კვეთს მას. ამის საპირისპიროდ ამ გიგანტურ კედელს ზემოთ და უშუალოდ მის გვერდით აღიმართებიან მწვერვალები ისეთ სიმაღლეზე, რაც ევროპისთვის უცნობია. ასე მაგალითად, ჩრდილოეთში იალბუზი 18. 400-ზე, დიხ-თაუ და კოშტან-თაუ 17 000-ზე, ყაზბეგი 16 500-ზე, სამხრეთით უშბა (იალბუზთან ახლოს) – იმავე სიმაღლის. ამავე დროს ენგურის, ცხენისწყლის და რიონის სათავეებთან არის მთელი რიგი ქედებისა, დაწყებული თეთნულდიდან (კავკასიის *იუნგფრაუ*) [3] ადაი-ხოხამდე (ტვილსას მთა – Twuilsas Mta) აღწევენ 15 000 ფუტს. ამ სიმაღლეებს ესადაგება მყინვარების სიმრავლე; სვანეთში ლატპარის უღელტეხილიდან საპირისპიროდ

ჩანს 30, რომელთაგან 10 პირველობს. ეს რეგიონი თავისი მკვეთი ხასიათით განსხვავდება ისეთი მაღალი ქედებისგან, როგორიცაა *ბერნერისა ობერლენდში*, ან *ბერნინის* ჯგუფი შვეიცარიიდან; კავკასიონის ქედი მიემართება პირდაპირი ხაზით, ამიტომ აკლია განვრცობილი მუდმივი თოვლის ზღვა (რაოდენობა), როგორიც ხშირად გვხვდება შვეიცარიაში. გვერდითი ქედები მეტწილად ბევრად დაბალია და მათზე ცოტაა მყინვარები, როგორც, მაგალითად, ლაილას ქედზე ენგურსა და ცხენისწყალს შორის. ამას გარდა, რაც თვალშისაცემად განასხვავებს შვეიცარიისგან, არის ტბების სრული უქონლობა. ამ ქედიდან კოლხეთის დაბლობისკენ ეშვებიან კოდორის, ენგურის, ცხენისწყლის და რიონის ხეობები; ხოლო მტკვრის ხეობისკენ ჩამოედინებიან ლიახვი და არაგვი. ყველა ეს მდინარე მიედინება მთისწინეთში, რომელიც თავს იწონებს ულამაზესი მცენარეულით. ეს ამაღლებები სამხრეთით უერთდება სურამის ქედს – რიონისა და მტკვრის წყალგამყოფს. ჩრდილოეთით მთიანეთი სწრაფად ეშვება სტეპისკენ, რომლისკენაც მივყევართ ყუბანის, კუმას და თერგის მრავალ პარალელურ ხეობებს.

3. ყაზბეგიდან აღმოსავლეთით მთავარი ქედი იწყებს დატოტვას; ერთი ტოტი მიემართება ჩრდილო-აღმოსავლეთით არღუნის და ანდების ყოისუს ხეობების გამყოფად. მთავარი ტოტი მიემართება ძველი ხაზით სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ. ამ ორს შორის მდებარეობს დაღესტანი. პირველი ჯერ კიდევ დასაწყისში მოიცავდა ძალზე მნიშვნელოვან, მყინვარიან ქედებს, შემდეგ ის დაბლდება და, როგორც ციცაბო კედელი, გამოყოფს დაღესტნის ზეგანს თერგისკენ დაშვებულს ჩეჩნეთისგან. სამხრეთ-აღმოსავლეთის ტოტი, თუმცა შემახამდე მოიცავს მნიშვნელოვან სიმაღლეებს 8-10 000 ფუტამდე, არ აღწევს მუდმივი თოვლის საზღვრებს, როგორც მაგალითად, ჟამურის სათავეებთან და *ბაზარჯუსში* (Bazardshusi) 14 700 ფუტს. პირველი ჩრდილოეთის ტოტი ხშირტყეებიან მხარეებზე გავლით უგზავნის თავის წყლებს ჩრდილოეთით თერგს; სამხრეთისა კი, რომლის ციცაბო ფერდე-

ბი ასევე გაუვალ ტყეებს მოიცავენ, ალაზნისა და სხვა უმნიშვნელო წყლებს – მტკვარს. ამ ორივეს შორის მდებარე დაღესტანი თითქმის მთლიანად გაცლილია ხეებისგან.

4. დაღესტანი არის მაღალმთიანი პლატო, რომელიც ორივე მთავარი ქედიდან ქვევით თანდათან ეშვება კასპიის ზღვისკენ. ვულკანურმა რევოლუციებმა ძალით დააცილა ისინი ერთმანეთს და ცალკეული ნაწილები გადააადგილა; წარმოქმნილი ჭრილები (არხები) მონადენი წყლისგან ზოგან ისე აკურატულად გამოიხრა, რომ თუ მაღლიდან დახედავ ამ მხარეს, ჰგავს გეოლოგიური მოხსენებისთვის აღებულ რელიეფის ნიმუშს. ოთხი მთავარი წყალსადინარი, რომლებსაც ყველას *ყოისუს* ეძახიან, სხვადასხვა მხარეებში, ერთდებიან და *სულაკის* სახელით ერთვიან კასპიის ზღვას; მეხუთე მდინარე *ჟამური* სამხრეთის ნაწილის წყლებს ასევე კასპიისკენ მიაქანებს.

5. კავკასიონის სამხრეთით, მტკვრისა და რიონის წყალგამყოფი სურამის ქედით, ის შეერთებულია ვრცლად განტოტვილ ქედთან, რომელიც ცნობილია *მცირე კავკასიონის* სახელით. ის შეიძლება ორ ჯგუფად გაიყოს: ცენტრალური, რომელიც გოქჩას ტბას, როგორც ვულკანი თავის კრატერს, ისე შემორტყმია. შემდეგია – შორს გაგრძელებული და მრავალტოტიანი მთიანეთი, რომელიც პირველისგან ჩრდილო-დასავლეთით შავ ზღვამდე აღწევს. პირველი ჯგუფის ზოგი მწვერვალი თოვლის საზღვრამდე აღწევს, მაგრამ არ აქვს მყინვარები; მისი დიდი რაოდენობის მცირე მდინარეები ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით მტკვრისკენ ეშვებიან, ხოლო სამხრეთისა – არაქსისკენ. ეს კი გამოყოფს სპარსეთის მთიანი ზეგნისგან, რომელიც იშვიათად აღწევს 10 000 ფუტის სიმაღლეს და თითქმის სრულად მტკვარს უხდიან ვალს, რომელიც მას გრძელი ხეობით არღვევს. მიუხედავად ერთმანეთისგან დამოუკიდებლობისა, ორი მძლავრი გიგანტი მთა აღიმართება სამხრეთით; ესენია: საზარლად შიშველი *ალაგიოზი* 13 400 ფუტის და დიდებული *არარატი* (16 900 ფუტი) თავისი წყვილი მწვერვალით და მუდმივად თეთრი თხემით.

6. კავკასიონის ჩრდილოეთი დაბლობის ხასიათის საფუძველს ქმნიან დასავლეთით – ყუბანი და აღმოსავლეთით – თერგი; ბორცვიან-ბუჩქნარიანი სტეპები ნაყოფიერია, მაგრამ უმეტესად ჯერაც ხელუხლებელი ნიადაგით. ამის საპირისპიროდ, რიონისა და მტკვრის დაბლობები ერთმანეთისგან სრულიად განსხვავდებიან. რიონის მხარე, ეს დალოცვილი კოლხეთის დაბლობი, საიდანაც იაზონმა ოქროს საწმისი გაიტაცა, წარმოადგენს უმდიდრესი ნაყოფიერების სურათს, რომელიც დაუდევარ მეგრელ გლეხს თავისი პირველყოფილი კავით მდიდარ მოსავალს აძლევს და ყოველ დაუსახლებელ ადგილზე მშვენიერი ტყე იზრდება; ამის საწინააღმდეგოდ, მტკვრის დაბლობი ჩამკვდარი და უდაბურია. ამაში ნიადაგი დამნაშავე არ არის, არამედ ცენტრალური აზიიდან ცხელი ქარებით გამოწვეული გამოხმობა. უხვი მორწყვის შედეგად ძალზე ნაყოფიერი იქნებოდა. ადრეულ ხანებში ამას ანაზღაურებდა ბუნებრივი მორწყვის არხების ვრცელი ქსელი, მაგრამ ის სპარსელებმა გაანადგურეს, ხოლო ახალ დროებაში ჯერ არ გამოიძებნა დრო მის აღსადგენად და მხარის ხელახლა დასასახლებლად.

კავკასიის პოლიტიკური ადგილი ჯერაც განსაკუთრებულია, რაც მას დიდად განასხვავებს დანარჩენი რუსეთისგან. მას ჰყავს საკუთარი მეფისნაცვალი, რომელსაც ექვემდებარება არმია და ფინანსებზე გამოცალკევებული მართვა. რუსული უმთავრესი ორგანული კანონები ახლო ხანებში აქაც გავრცელდა სათანადო მოდიფიკაციით; ასევე, შემოიღებენ სავალდებულო სამხედრო სამსახურს. მეფისნაცვლის (ამჟამად იმპერატორის ძმა, დიდი მთავარი **მიხეილია**) [4] ცენტრალური მმართველობის ადგილსამყოფელია ტფილისი. ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებია სამოქალაქო მმართველობა, რომლის სათავეში დგას **ბარონი ნიკოლაი [5]** და კავკასიის არმიის გენშტაბი, რომელსაც ხელმძღვანელობს თავადი **სვიატოპოლკ-მირსკი** [6]. ქვეყანა დაყოფილია 5 გუბერნიად და რამდენიმე მხარედ, რომელთაგან უკანასკნელები, მხედველობაშია მისაღები, რომ ცოტა ხნის წინ მიმდინარე საომარ

მოქმედებებამდე, სამხედრო ძალით იქნენ დამორჩილებული. ეს ოლქებია: 1. *სტავროპოლის გუბერნია*. ის მოიცავს სტეპების ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილს, 1284 კვ. მილის ფართობს 371 000 მოსახლით (1867 წლის აღწერით). 2. *ყუბანის კაზაკთა მხარე* შავსა და აზოვის ზღვებს შორის, მოიცავს ფართს 1641 კვ. მილს 600 000 მოსახლით, მთავარ ქედს იალბუზამდე და ზემოთ დასახელებულ გუბერნიამდე; მთავარი ქალაქია *ეკატერინოდარი* ყუბანზე. აქ მიმდინარეობდა უკანასკნელი ომები ჩერქეზთა წინააღმდეგ; ამჟამად მოსახლეობა ძალიანაა შემცირებული მასობრივი გადასახლების გამო. მმართველობა არის შერეული – მოსახლეობის უდიდეს ნაწილს შეადგენენ რუსები; ყუბანელი კაზაკები, ამავე დროს მხარეს ამუშავებენ და ჯარს ქმნიან. ამჟამად, მოუსვენარი მეზობლების მხრივ მოსალოდნელი თავდასხმები თანდათან შეწყდა. 3. *თერგის კაზაკების* მხარე 1121 კვ. მილის ფართობით და 450 000 მოსახლით; მთავარი ქალაქია *ვლადიკავკაზი* ყაზბეგის გასასვლელთან. მხარე მოიცავს თერგის დაბლობს და მთავარი ქედის ჩრდილოეთ ფერდს, ე. წ. ჩეჩნეთს. ეს გახლავთ კავკასიის ყველაზე ათვისებული (გამოცდილი) მხარე; კაზაკთა პირველი დასახლებები პეტრე დიდის დრომდე და შემდგომ, აწარმოებდნენ მცირე ბრძოლებს, სანამ ბოლოს 1839-1859 წლების ცხარე ომით [7] არ დამთავრდა. 4. *დაღესტნის მხარე*, მოიცავს 519 კვ. მილის ფართობს 450 000 მოსახლით. ის საბოლოოდ დაიმორჩილეს 1859 წელს შამილის დამარცხების შემდეგ; ამჟამად სრული სიწყნარეა. მთავარი ქალაქია *თემირხანშურა*, ჩვეულებრივ შემოკლებით *შურა*-ს უწოდებენ. მხარის საზღვრები დაღესტნის ბუნებრივ საზღვრებს ემთხვევა; მხოლოდ სამხრეთით უკვე დიდი ხნის წინათ დაპყრობილი *ყუბას სახანო* გაუნაწილეს ბაქოს გუბერნიას.

5. *ტფილისის გუბერნია* მოიცავს 805 კვადრატული მილის ფართობს 650 000 მოსახლით და მდებარეობს ქვეყნის (კავკასიის – გ. გ.) ცენტრში. მის საზღვრებს ქმნიან: დასავლეთით რიონისა და მტკვრის წყალგამყოფი [ქედი]; ჩრდილოეთით (მცირე

გადახრით ყაზბეგთან და მის აღმოსავლეთით) მთავარი ქედი ლიახვის სათავეებიდან ქალაქ ნუხამდე; სამხრეთ-აღმოსავლეთით – ხაზი, რომელიც კვეთს მტკვრის სტეპს და მიემართება გოქჩის ტბის ჩრდილო-დასავლეთის კუთხემდე; შემდეგ მიდის მტკვრისა და არაქსის წყალგამყოფზე სამხრეთ-დასავლეთით და სრულდება თურქეთის საზღვრებით. ქვეყნის არც ერთი ნაწილი არაა ასე მრავალფეროვანი, როგორც ეს გუბერნია: ჩრდილოეთით ყაზბეგის გასასვლელთან ველური მთები; ჩრდილო-აღმოსავლეთით ალაზნის დალოცვილი ველი, კახეთის მთავარი ღვინის ქვეყანა; აღმოსავლეთით უდაბური სტეპები; შუაში – რომანტიული ქართლი (გრუზია); დაბოლოს, ერთგვაროვანი მაღალი ზეგანი თურქულ საზღვრებთან. ქვეყნის დედაქალაქი – *ტფილისი* – მხარის ცენტრში მდებარეობს, სწრაფი მტკვრის ნაპირზე, ამჟამად, 100 000 მაცხოვრებლით.

6. *ქუთაისის გუბერნია* მოიცავს რიონისა და ენგურის მთელ აუზებს და მის 374 კვადრატული მილის ფართობზე ცხოვრობს 650 000 მოსახლე; ის შედარებით უფროა დასახლებული. ლანდშაფტის თვალსაზრისით უმშვენიერესია – დაბლობები დიდად ნაყოფიერი; მთები მთავარ ქედამდე ხშირი ტყეებით დაფარული, რაც შედეგია შავი ზღვიდან მონაბერი ნესტიანი ქარებისა. უდავოა, რომ ქვეყნის არც ერთ მხარეს არ ექნება უკეთესი მომავალი, როგორც ამას: უკვე ამჟამად მთელ ამ მხარეზე გადის რკინიგზა [8], რომელიც, როგორც ჩანს, მოწოდებულია იყოს შავი ზღვისთვის ხე-ტყისა და მარცვლეულის ბეღელი. მხოლოდ ორი ნაკლი აფერხებს მას: მოსახლეობის გულგრილობა და ევროპელთათვის საშიში ციებიანი ჰავა; თუმცა ორივე არც თუ გადაულახავი დაბრკოლებაა.

7–8. მთავარი ქედიდან შავ ზღვამდე სამხრეთით დაშვებულ კალთებზე დღესაც არის ორი პატარა, სამხედრო ძალით დაპყრობილი მხარე: *სუხუმ-კალეს დისტრიქტი* მდინარე ენგურიდან დასავლეთით ბიჭვინთამდე, უკავია 133 კვადრატული მილი 66 000 მცხოვრებით და *ჩერნომორის*, რომელსაც უკავია დანარჩენი ზღვის-

პირა ზოლი [დასავლეთით] და არცთუ ისე დასახლებულია.

9. *ერევნის გუბერნია* მოიცავს არაქსის აუზის რუსეთის კუთვნილ ნაწილს თურქეთისა და სპარსეთის საზღვრებამდე დასავლეთით და სამხრეთით; ზოლი გოქჩას ტბიდან ქალაქ ორდუბატამდე არაქსზე აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით; ჩრდილოეთით კი ვრცელდება ტფილისის გუბერნიამდე. მას უკავია 498 კვადრატული მილის ფართობი 436 000 მაცხოვრებლით. ესაა მეტწილად დაუსახლებელი მთიანი ზეგანი, წყლის სიახლოვეს კი ნაყოფიერი. თვით ქალაქი *ერევანი* საკმაოდ უმნიშვნელოა.

10. *ელიზავეტპოლის გუბერნია* მდებარეობს ერევნისა და ტფილისის გუბერნიების აღმოსავლეთით; ჩრდილოეთით ესაზღვრება მთავარი ქედის მოკლე მონაკვეთს; სამხრეთით სასაზღვრო მდინარე არაქსით სპარსეთს, ხოლო აღმოსავლეთით ბაქოს გუბერნიიდან გამოჰყოფს ზოლი, რომელიც იწყება ქალაქებს ნუხასა და შემახას შორის და მიემართება სამხრეთისაკენ. დაბლობის 801 კვადრატული მილის ფართობზე ცხოვრობს 503 000 მოსახლე. მთავარი ქალაქი რომელსაც ადრე *განჯა* ერქვა, უმნიშვნელოა, სამაგიეროდ, ქალაქი *ნუხა* არის კავკასიის მეაბრეშუმეობის ცენტრი და აღმავლობის გზაზეა. ეს გუბერნია ტფილისის მსგავსად იგივე წინააღმდეგობების შემცველია – დაბლობზე უკაცრიელი სტეპები და უხვწყლიანი და კარგად მოშენებული ხეობები მთებში.

11. *ბაქოს გუბერნია* (702 კვადრატულ მილზე 486 000 მცხოვრებით) აღწევს დაღესტნის საზღვრებიდან და წინა გუბერნიებიდან კასპიის ზღვამდე. მას თავის დედაქალაქში აქვს ერთადერთი კარგი ბუნებრივი ნავსადგური კასპიის ზღვაზე. მეორე ქალაქი *შემახა*, სამწუხაროდ პერიოდული მიწისძვრებისგან დანგრეული, წარმოადგენს საკმაოდ მნიშვნელოვან ინდუსტრიულ პუნქტს. გუბერნიის ცენტრში უკაცრიელი სტეპებია, სამაგიეროდ როგორც ჩრდილოეთით მდებარე მხარე *ყუბა* და მთელი კავკასიის სამხრეთის ბოლოში *ლენქორანის* მხარე, ნაყო-

ფიერია და ტყეებით მდიდარი.

კომუნიკაციების განვითარება კავკასიაში უნდა უმადლოდეს ახალ დროებას; რუსულმა მთავრობამ დაავალდებულა სალდათების ბატალიონები გზის ყოველი მილის შეცვლა; მათი მუყაითი შრომით კავკასია დაიფარა გზათა ბადეებით და იმას მიაღწიეს, რომ ამჟამად ყოველ ქალაქში არის ფოსტა. მნიშვნელოვანი შედეგი, როცა გაიხსენებ, რომ აღმოსავლეთმა არაფერი იცოდა, გარდა საქარავნო გზებისა; ეს ნიშნავს გზებს, რომელზეც საუკუნეები ხდებოდა მიმოსვლა, ისე რომ ქვაც კი არ გადაუადგილებიათ გზიდან. გზები შეიძლება ყველა არ იყოს ე. წ. *შოსე*, მაგრამ ისეთ მდგომარეობაშია, რომ წლის კარგ პერიოდში იოლად სამოგზაუროა, ხოლო ცუდი დარის პირობებში შესაძლებელი მაინცაა. ახლა მოგაწვდით არსებული გზების მოკლე მიმოხილვას: 1) ესაა *დიდი შარაგზა აზოვის ზღვიდან ტფილისისკენ*; ის მოდის აზოვის ზღვაზე მდებარე როსტოვიდან, კვეთს სტეპს და სტავროპოლის, გეორგიევსკისა და მოზდოკის გავლით აღწევს ქედის ძირს მნიშვნელოვან ჩამკეტ პუნქტს – ვლადიკავკაზს („კავკასიის დამპყრობი“). მანამდე სტავროპოლიდან არის განშტოებები ეკატერინოდარისკენ, ცნობილი კურორტების პიატიგორსკისა და კისლოვოდსკისკენ და ნალჩიკის სიმაგრემდე. ვლადიკავკაზიდან გზას ოფიციალურად ეწოდება *„საქართველოს სამხედრო გზა“*; აქედან ის შედის თერგის ვიწრო კლდოვან ხეობაში, დიდი აღმართით ადის *დარიალის* საშინელ ხეობაში და კობისა და მლეთის სადგურებს შორის გადადის მთავარ ქედზე 7977 ფუტის სიმაღლეზე. შემდეგ მიუყვება არაგვის ხეობას მცხეთამდე და ტფილისამდე რამდენიმე მილზე შედის მტკვრის ხეობაში. მთლიანი გზის პირველი ნახევარი სტეპებზე გადის, რის გამო მის შოსირებაზე ნაკლებ ფიქრობენ, ვიდრე მშენებარე რკინიგზაზე როსტოვიდან ვლადიკავკაზამდე; ამის საპირისპიროდ მეორე ნახევარი – უკანასკნელი მთიანი გზა ისეთ მდგომარეობაშია, რომ მხოლოდ მცირედ ჩამოუვარდება შვეიცარიის ალპების გზებს. 2) გზა *შავი ზღვიდან ტფილისისკენ*. ის იწყება მარანთან (ორპირთან) რიონზე

(აქამდე ფოთიდან ამოდიან მდინარის მცირე ორთქლის გემები), გაუვლის ქუთაისს ყვირილას სადგურამდე და *ბელოგორიესა* და სურამს შორის კვეთს სურამის უღელტეხილს 3627 ფუტის სიმაღლეზე. შემდგომ ის მიუყვება მტკვრის მარცხენა ნაპირს გორის გავლით მცხეთამდე, სადაც ის უერთდება *„საქართველოს სამხედრო გზას“*. ამ გზის ოფიციალური სახელწოდებაა *„იმერეთის სამხედრო გზა“*. მისი მდგომარეობაც საკმაოდ კარგია, მაგრამ მისმა დრომ ჩაიარა, რადგან ამავე მიმართულებით ამოძრავდა რკინიგზა. 3) *გზა ბაქოდან ტფილისისკენ*. ის მიემართება კასპიის ზღვიდან ინდუსტრიულ ქალაქ შემახამდე; იქიდან ის გადის ხან სტეპებზე, ხან დაბალი გორაკების თხემებზე, გაუვლის ნუხასა და ზაქათალას და სიღნაღით ჩადის ტფილისში. 4) *გზა ტფილისიდან სპარსეთისკენ* ჯერ მიემართება დაღმა მტკვრის ხეობაში, შემდეგ უხვევს სამხრეთით აღსტაფას რომანტიულ ხეობაში, მის ბოლოში გადადის 7124 ფუტი სიმაღლის *ბამბაკის უღელტეხილს* („ვირის ზურგად“ წოდებულს) და აღწევს უშუალოდ მის ქვემოთ ზღვის დონიდან 6340 ფუტზე მდებარე გოქჩას ტბას. აქედან ერევანზე გავლით ჩადის არაქსის დაბლობზე, გაივლის *ნახიჭევანს* სპარსულ სასაზღვრო პუნქტ *ჯულფამდე*. ამ გზის ვაკე ნაწილი არაა საუკეთესო მდგომარეობაში, მაგრამ მონაკვეთი აღსტაფას ხეობიდან ერევნამდე ახლახან იქნა შოსირებული; 1872 წლის შემოდგომაზე დარჩენილი იყო მხოლოდ ნაწილი ელენოვკადან ტბაზე ერევნამდე.

ეს ოთხი დიდი მარშრუტი არის ძირითადი საყრდენი, რომელზეც ძევს მთელი დღევანდელი გზების ბადე. პირველი ორი უმთავრესად მართავენ რუსეთის შიგნითკენ მიმოსვლას, დანარჩენები სპარსეთთან და კასპიის ზღვის აღმოსავლეთის ქვეყნებთან. შემაერთებელი გზები შემდეგია: 5) *„საქართველოსა“* და *„იმერეთის სამხედრო გზებს“* შორის – უკვე ნახსენები სტავროპოლიდან ეკატერინოდარისკენ ყუბანზე სამხრეთი განშტოებით მაიკოპის სიმაგრისკენ; ასევე გზა ეკატერინოდარიდან აზოვის ზღვაზე მდებარე ეისკამდე და ტემრიუკის გავლით ტამანისკენ

და ნოვოროსიისკისკენ შავ ზღვაზე. 6) *„იმერეთის“* და ერევნის გზებს შორის არის გვერდითი შტოები კოლხეთის დაბლობზე *ზუგდიდისკენ* სამეგრელოში და *ოზურგეთისკენ* გურიაში; შემდეგ სურამიდან ბორჯომისა და ახალციხის (აქ ახლოა კურორტი *აბასთუმანი*) გავლით ახალქალაქამდე; ასევე, დილიჟანიდან აღსტაფას ხეობაში ალექსანდროპოლისკენ, ახტიდან სააგარაკო დარაჩიჩახამდე; ერევნიდან სომეხთა პატრიარქის რეზიდენცია ეჩმიაძინამდე და სასაზღვრო პუნქტ ჯულფადან ორდუბატამდე. 7) *ერევნისა და ბაქოსკენ გზებს შორის* განშტოებებია აღსტაფინსკიდან ელიზავეტპოლის (განჯის) გავლით შუშასკენ ყარაბაღში, ხოლო იქიდან მთების გადავლით ნახჭევანისკენ (ბოლო მონაკვეთი 1872 წელს ჯერ არ იყო დასრულებული), ან შემახადან სამხრეთით სტეპებით სალიანზე გავლით *ლენქორანისკენ* კასპიის ზღვაზე. ელიზავეტპოლსა და ბაქოს ხაზს შორის *ნუხასთან* არის განშტოება, რომელსაც ალაზნის (კახეთშია) ხეობიდან ზევით მივყავართ პუნქტ *ახმეტამდე*. აქვე უნდა ვახსენოთ მოკლე მონაკვეთი ტფილისიდან აგარაკ კოჯორამდე და *თეთრი წყაროსკენ*. 8) *საქართველოსა და ბაქოს გზების* კავშირებს აქვს უფრო ფართო მნიშვნელობა, ვიდრე ცალკეულს. ეს ხაზებია: ასტრახანიდან ყიზლარის, თემირხანშურას, დარუბანდის და ყუბის გავლით ბაქოსკენ; აქედან არის გადახვევა შოლკოზავოდსკაიადან (ყიზლარის სამხრეთით) მოზდოკისკენ და მეორე აქედან გროზნაიას გავლით ვლადიკავკაზისკენ, ისევე როგორც მოკლე მონაკვეთი ტემირხანშურადან ნავსადგურ *პეტროვსკამდე*. ამ კავშირების მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ის, ერთი მხრივ, მოზდოკზე გავლით ხელს უწყობს აზოვის ზღვიდან კასპიის ზღვამდე პირდაპირ ხაზს; მეორე მხრივ, გროზნაიასა და ვლადიკავკაზზე გავლით მოკლე გზას ტფილისიდან ბაქომდე. ამით ის წარმოადგენს ვოლგაზე მდებარე მხარეებთან მიმოსვლის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეს. სხვა გზებზე საფოსტო მიმოსვლა არ წარმოებს...

ნაოსნობა ქვეყნის მდინარეებზე თითქმის ნულის ტოლია.

რიონზე ის სავსებით შეწყდა რკინიგზის გაყვანის მერე, ხოლო მტკვარზე მხოლოდ მის ქვემო დინებაზე გვხვდება პატარა საფრახტო (გადამზიდი) ნავები... ახალ დროებაში მნიშვნელოვანია მიმოსვლა ორივე ზღვაზე, რომელთა შორისაც არის კავკასია მოქცეული. შავ ზღვაზე ნაოსნობა *ფოთშია* თავმოყრილი, მიუხედავად დიდი უხერხულობებისა, რასაც იწვევს ნავსადგურის ცუდი თავისებურებანი. ორთქლის გემები ზაფხულობით დაცურავენ კვირაში ერთხელ, ზამთრობით ორ კვირაში ერთხელ სუხუმ-კალეს გავლით ქერჩისა და ოდესისკენ და ბათუმის გავლით ტრაპიზონსა და კონსტანტინოპოლისკენ. ამას გარდა საკმაოდ გაცხოველებულია იალქნიანი გემების ცურვა. კასპიის ზღვაზე ზაფხულობით ორი ორთქლის გემი კვირაში ერთხელ დაცურავს ასტრახანიდან პეტროვსკზე გავლით ბაქოსკენ და ერთი გემი იქიდან სპარსეთისკენ; ზამთრობით ზღვის ჩრდილოეთ ნახევარში მიმოსვლა მთლიანად შეუძლებელია.

უკვე ორი წელია, რაც კავკასიაში **რკინიგზაა**. 1867 წელს ფოთი-ტფილისის გზის გაყვანა იქნა ნებადართული (კონცესირებული). 1871 წელს გაიყვანეს პირველი მონაკვეთი – ფოთიდან სურამის ქედის ძირამდე; 1872 წელს გადაეცა სამოძრაოდ დანარჩენი ნაწილიც. მშენებლობისას ყოველნაირი დაბრკოლების გადალახვა მოუხდათ: ფოთიდან ჯერ 4 მილი გასაყვანი იყო ჭაობიან ტყეზე, სადაც ციებიანი ანაორთქლით ასობით მუშა ზიანდებოდა; შემდეგ სწრაფ მდინარეებზე ხიდები იყო გასადები; დაბოლოს, ქედი იყო გადასალახავი, რომლის დაძლევაც ევროპისთვის გაუგონარი სიმაღლის დაპყრობა იქნებოდა საჭირო, თუკი უარს იტყოდნენ ძალზე ძვირადღირებული გვირაბის გაჭრაზე. მაგრამ დაბრკოლებები დაძლეულ იქნა და რკინიგზას, დიდი ხარჯების მიუხედავად, შეუძლია დამაკმაყოფილებლად იმოქმედოს. მეორე ხაზი როსტოვიდან ვლადიკავკაზამდე გაყვანის ეტაპზეა. მთავრობას გადაწყვეტილი აქვს კასპიის ზღვაზე მდებარე პეტროვსკამდე გაგრძელდეს და მთავარი ხაზი მნიშვნელოვნად გაზრდის ტვირთბრუნვას, რადგან კასპიის სანაპირ-

ოს ქვეყნები (მხარეები) მთელი წლის მანძილზე იმოძრავებენ; მაშინ როცა ვოლგა წლის ნახევარი გამოუყენებელია. სამომავლო განსახილველ გეგმაში შეტანილია პეტროვსკი-ბაქო-სპარსეთის ხაზი, რომელსაც შეუერთდება ტფილისი-ბაქოს ხაზი და თვალშისაცემი რკინიგზა ვლადიკავკაზიდან ყაზბეგის უღელტეხილზე გადავლით ტფილისამდე, რომელთა მთავარი არენდატორია **ბარონი როიტერი**. პირველი ორი გზა ადვილი გასაყვანია, თუმცა ნაკლებ რენტაბელური, უკანასკნელი კი ალბათ ძალზე დიდ ხარჯებს მოითხოვს. გასავლელი იქნებოდა *ლარს-ყაზბეგს* შორის არსებული ვიწრო ხეობა თავისი მიხვეულ-მოხვეულობით, ხოლო შემდეგ 2000 ფუტის სხვაობა სიმაღლეთა შორის; გვირაბს უღელტეხილს ქვემოთ დასჭირდებოდა 8 ვერსი. ცხადია ეს პროექტი დიდხანს დარჩება პროექტად. ასევე გაზეთებში გამოჩნდა ცნობა ტფილისი-ერევან-თავრიზის გზის კონცესირების შესახებ. მაგრამ ერევნისკენ გზის გაყვანა წარმოუდგენელია გზის სირთულისა და უზარმაზარი ხარჯების გამო, რასაც მიმოსვლა ძნელად აანაზღაურებდა. საჭირო იქნებოდა *ხრამისა* და მისი შენაკადების ხეობათა დაძლევა და ყარაქილისამდე დიდი გვირაბების გაჭრა.

კავკასიის ხალხები იმსახურებენ შესწავლას. ევროპელი მიჩვეულია, რომ ყველაფერი, რასაც კავკასიელი ან ჩერქეზი ჰქვია, წარმოიდგინოს როგორც მშვენიერი, რაინდული ხალხი, რომლის მამაკაცები აღსავსენი არიან რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ მგზნებარე ზიზღით და მხოლოდ შინაგანად უხალისოდ მოიხარეს ქედი ამ უღლის ქვეშ; მაშინ როცა ქალები – იდეალური სილამაზისა, რათა გაექცნენ საძულველ უცხო ბატონობას, თურქთა ჰარემებში წაყვანაზე ნებდებიან. უმადურობა იქნებოდა ასეთი პოეტური წარმოდგენის შეწყვეტა, მაგრამ, თუ სინამდვილეს ვუერთგულებ, უნდა ვაღიარო, რომ ეს იდეალი არ არსებობდა და დღესაც ნაკლებადაა. პირველ რიგში სრულიად მცდარია, რომ ჩერქეზები, ქართველები, კავკასიელები და სხვანი ერთ ქვაბში ჩავყაროთ. ამასთან, კავკასიაში ვაკის მოსახლეობა სულ ცოტა ოთხ ერთმანეთისგან განსხვავებულ ჯგუფად იყოფიან, ხოლო

მთის მოსახლეობის შტოთა რაოდენობა ურიცხვია, რომლებიც ხშირად ერთმანეთთან არავითარ კავშირში არ არიან. კავკასიის ეთნოგრაფიული აღწერა უნდა იფარგლებოდეს ცალკეული ტიპების შესწავლით, რადგან ერთიანი ხასიათი არ არსებობს. თუ საფუძვლად ბუნებრივ პირობებს ავიღებთ, შეიძლება დავყოთ მთის ხალხებად და ვაკე-დაბლობების მაცხოვრებლებად. მესამე ელემენტად გამოდიან ქვეყნის დამპყრობი რუსები და მათთან ერთად შემოსული კოლონისტები და უცხოელები.

დაბლობში მცხოვრებ კავკასიის უძველეს კულტურულ ელემენტად არიან **ქართველური** (ქართლური – Kartalinische) **მოდგმის ხალხები**, ძველი იბერების შთამომავლები, რომლებიც საერთო, თუმცა ძალზე განსხვავებულ ენაზე „ქართულზე" ლაპარაკობენ. შუა საუკუნეებში ისინი იყვნენ უშუალო ბატონები რიონისა და მტკვრის ზემო მხარეების ალაზნის შეერთებამდე. ეს შტოები არიან: 1) *ქართველები* (გრუზიერ" ან „გრუზინერ"-ები, ევროპელების მიერ „გეორგიერ"-ად წოდებული). თავის თავს უწოდებენ „ქართლი"-ს და სახლობენ სურამის ქედიდან აღმოსავლეთით, მთავარ ქედსა და არაქსის წყალგამყოფს შორის, ზაქათალას მთებამდე. 2) *იმერლები* სახლობენ სურამის ქედიდან დასავლეთით მდინარე ცხენისწყლამდე. 3) *მეგრელები* სახლობენ ამ მდინარის, რიონის, ენგურისა და შავ ზღვას შორის. 4) *გურულები* – რიონსა და თურქეთის საზღვრებს შორის. ამათ ახლო ენათესავებიან თურქეთში მცხოვრები მეზობელი ხალხი – *ლაზები*. 5) ასევე ქართულ მოდგმას ეკუთვნიან მთაში მოსახლე *სვანები* (ინგურისა და ცხენის-წყლის ზემო მხარეში), *თუშები, ფშავები და ხევსურები* ალაზნისა და იორის სათავეებთან... ადრე შუასაუკუნეებში ამათ ყველას ჰქონდათ ერთიანი ძლიერი სახელმწიფო, რომლის მეფის რეზიდენცია იყო მცხეთა ტფილისის ახლოს. მაგრამ სპარსელებთან და თურქებთან ომებით დაშლილ-დასუსტებული ამ საუკუნის დასაწყისში ქართლის, კახეთის და იმერეთის უკანასკნელმა მეფემ [9] ბაგრატიონთა უძველესი გვარიდან, ნებაყოფლობით აღიარა რუსეთის ქვეშევრდომობა; ამის შემდეგ

იგივე ჩაიდინეს სამეგრელოსა და გურიის მთავრებმა [10]. ამჟამად, ეს 900 000 მართლმადიდებელი სრულად ემორჩილება რუსულ კვერთხს; აღარ წუხან ადრინდელ დამოუკიდებლობაზე, როცა ყოველი თურქი სულთანი და სპარსელი შაჰი სურვილისამებრ ომით თავს ესხმოდა, სოფლებს გადაუწვავდა, მათ კაცებს მონად აქცევდნენ, ქალები კი ჰარემებში მიჰყავდათ. საერთოდ მათი ხასიათი ისევ შუასაუკუნეებრივია: *აზნაური* იყო რაინდული, თუმცა გაუნათლებელი და შრომის უუნარო; *მდაბიო*, რომელიც მძიმე ყმობაში ცხოვრობდა, იყო ზარმაცი და მატყუარა. ამჟამად ამ ფენებმა დაიწყეს გამოსწორება: აზნაურმა დაიწყო სწავლა; მდაბიომ, შინაგანი წინააღმდეგობის მიუხედავად, – შრომა. მათი გამორჩეული თვისებაა ღვინისადმი სიყვარული. მაგრამ, რადგან დიდ რაოდენობას იტანენ, ამისთვის მკაცრად არ საყვედურობენ. ასევე ბევრს მღერიან, თუმცა არცთუ მშვენივრად. მათი ენა ჟღერს მკვეთრად, თუმცა ასევე უხეშად; სახელდობრ, ამაში როლი მიუძღვით „წყ“ და „ჭყ“-ს. სამწერლობო ენა ქართული დიალექტისაა. ანბანი რომ წმ. *მესროპმა* მე-6 საუკუნეში შეადგინა [11], ამას ორი ფაზა გვიჩვენებს: ძველ საეკლესიო ანბანს – ხუცურს აქვს ლაპიდარული, ძველსომხური ასოების მსგავსება; ის ახლაც იხმარება საეკლესიო მიზნებით. ამის საპირისპიროდ დღევანდელი დამწერლობა – *მხედრული*, არის ლამაზი, გრაციოზული ხვეულებით. ცალკეული შტოების ჩაცმულობა განსხვავებულია; თუ წარჩინებულებს არ აცვიათ ევროპული კოსტუმები, თითქმის საერთოა ე. წ. ჩერქეზული სამოსი.

მეორე მთავარ ჯგუფს შეადგენენ **თურქულ-თათრული მოდგმის ხალხები**. ისინი არსად ცხოვრობენ ისე ჩაკეტილად ერთად, როგორც ქართველები (Kartaliner), არამედ მთელ კავკასიაში არიან გაფანტული. მათი კრებითი სახელია *თათრები*. უბრალო რუსი, და კერძოდ, სალდათები ასე უწოდებენ ყველას, ვინც არაქრისტიანია, რის გამოც ცხადია სხვაობა ხშირად გაუგებარია. მათი ძირითადი მხარეებია მტკვრის და არაქსის დაბლობები; ამას გარდა ისინი ცხოვრობენ ტფილისის გუბერნიის აღმოსავ-

ლეთ ნაწილში ქართველებთან შერევით და ერევნის გუბერნიასა და ყარაბაღში (ელიზავეტპოლის გუბერნიის სამხრეთი ნაწილია) სომხებთან ერთად. მათ ეკუთვნიან მომთაბარული შტოები სტეპებში კასპიის ზღვიდან ვლადიკავკაზამდე და მრავალრიცხოვანი კოლონიები (დასახლებები) დაღესტნის აღმოსავლეთ სანაპიროზე. თვით იალბუზთან ხეობებში ცხოვრობს მათი ერთი შტო. მათი საერთო რაოდენობა მომთაბარეთა ჩათვლით შეადგენს 1 000 000-ს. მათი ენა ძალიან ენათესავება თურქულს და ეკუთვნის ე. წ. აღმოსავლურ-თურქულ შტოს. ის გაცილებით უხეშად ჟღერს, ვიდრე ელეგანტური ოსმალური (Osmanli) და თითქმის მთელ კავკასიაში გაეგებათ. მათი ჩაცმულობა მცირე განსხვავებით სპარსულია; მხოლოდ თურქეთის საზღვართან ახალციხეში დადიან მეტწილად თურქულად ჩაცმულნი. ხალხის ქვედა ფენებს ახასიათებთ თურქული რასის უპირატესობანი: გამძლეობა, თავშეკავებულობა და სანდოობა; მაღალ ფენებს, მიუხედავად სპარსელთა ხანგრძლივი ბატონობისა, მათზე სასიკეთიოდ არ უმოქმედიათ, თუმცა მათში მაინც არის ნამდვილად კარგი ელემენტი.

სომხებს, 600 000-მდე სულს, ზემოდასახელებულ ხალხთა მსგავსად, არ აქვთ განსაკუთრებული ადგილი ქვეყანაში; ისინი თითქმის ყველგან არიან. მათთან დაყოფა გლეხობასა და დანარჩენ ხალხს შორის უფრო ძლიერია, ვიდრე თათრებში. ერევნისა და ელიზავეტპოლის გუბერნიებში თათრებთან შერეულად მცხოვრები გლეხები ამათგან გარეგნულად არ განსხვავდებიან და თვისებებითაც ცოტათი; სამაგიეროდ, ქალაქელი სომეხი მთლად სხვა კატეგორიაა. ის არის უპირატესად ვაჭარი. არ არის ქვეყანაში სოფელი, სადაც ერთი ან რამდენიმე სომეხი იმავე როლს არ ასრულებდნენ, რასაც ებრაელი აღმოსავლეთ გერმანიასა და პოლონეთში. ცბიერი, მოქნილი, ჯიუტი, ის არც თუ იშვიათად ნაკლებ პატიოსანი გზით ხელთ იგდებს მთელ გარიგებებს (სავაჭრო ოპერაციებს) და ერთდროულად ხდება იმ პუნქტის ბანკირი და ტირანი. აქედან არ უნდა დავასკვნათ, რომ მათ შორის არ არიან

საკმაოდ პატივსაცემი ელემენტები, რომელთა ინტელიგენტობას და საქმეებს ქვეყანა წარმატებისკენ მიჰყავთ. სომხურ ენას აქვს მდიდარი ლიტერატურა და საკუთარი ანბანი, რომელშიც ქართულის მსგავსად ორი ტიპია – ძველი ეკლესიური და თანამედროვე. აგრეთვე, თანამედროვე ენა საეკლესიო ენისგან საკმაოდ დაშორებულია. ამ ენის შესახებ მყარად ითქმება, რომ ის ინდოევროპულ ჯგუფს ეკუთვნის. ის ჟღერს ძალიან უხეშად და შესასწავლად ძნელი უნდა იყოს. მოგზაურისთვის ის სავსებით არაა საჭირო, რადგან ყველა სომეხს, გლეხსაც კი ესმის თურქული და უფრო მეტად რუსული. ერთი ფაქტი გამოარჩევს სომეხს: მიუხედავად იმისა, რომ ხალხი მუდამ ახალი დამპყრობლის მიერ იტანჯებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მათი ერთი ნაწილი ყველა მიმართულებითაა გაფანტული, მიუხედავად იმისა, რომ სომხების დიდი ნაწილი თურქეთის ბატონობაში ცხოვრობს, არც ერთ სომეხს არ უარყვია მათი წინაპრების მიერ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში აღიარებული ქრისტიანული სარწმუნოება.

მთის მოსახლეობა სხვადასხვა მოდგმათა, სხვადასხვა ენათა და განსხვავებულ ჩვეულებათა ისეთ ჭრელ კონგლომერატს წარმოადგენს, რომ კავკასიის სტუმარი თავდაპირველად იმაზე დაფიქრდება, ამ ქაოსს დროულად როგორ შეეგუოს. ყველა სახის ასეთი ღრმა სხვაობის გამო, ამ ხალხის სისტემატიზირებული კლასიფიკაცია შეუძლებელია; ამიტომ მე შემოვიფარგლები მათ შორის გამორჩეულის მოკლე აღწერით. მიმოხილვა ძალზე გაიოლდება, თუ გამოვყოფთ სამ ჯგუფს – დასავლეთის, ცენტრალურს და აღმოსავლეთისას. აქ უნდა გავიხსენოთ, რომ რუსები კავკასიური ომების შესახებ მოხსენებისას ხშირად ხმარობენ აღნიშვნებს – მარჯვენა და მარცხენა ფლანგებს (ფრთებს) პეტერბურგის პოზიციების მიხედვით; მარჯვენა ფრთაში იგულისხმებიან დასავლური შტოები, ხოლო მარცხენაში ჩეჩნეთი და დაღესტანი. ყველა მთიელთა საერთო ჯამი 1865 წელს ითვლიდა 900 000 სულს, სანამ ჩერქეზთა გადასახლებამ ქვეყანას მნიშვნელოვანი ძალა არ გამოაცალა.

1) მთის ხალხების *დასავლეთის ჯგუფი* მოიცავს იმ შტოებს, რომლებიც ცხოვრობენ კავკასიონის სამხრეთ მხარეზე იალბუზამდე და მის ჩრდილოეთ მხარეზე წინას აღმოსავლეთით ვლადიკავკაზის მიდამოებამდე. აქ პირველ ყოვლისა ვხედავთ **ადიღე**-ს, რომელსაც რუსები უწოდებენ **ჩერქეზებს**. თუმცა ეს სახელი არის გამაერთიანებელი დიდი რაოდენობის პატარა და უმცირესი შტოებისა, როგორებიცაა *ჯიქები, უბიხები, შაფსუღები, ნატუხაელები* და სხვა, რომლებსაც არაფერი არ აკავშირებთ, აქვთ განსხვავებული ენა და ტრადიციები და მუდმივად მტრობენ ერთმანეთს. წარსულში მათ ეკავათ მთები ტამანიდან ბიჭვინთის მთებამდე და ჩრდილოეთის მთისწინეთი ყუბანს ზემომდე. მათ დამორჩილებას წინ უძღოდა მრავალი ბრძოლა ცალკეული შტოების წინააღმდეგ; მათი გაერთიანება საერთო მტრის წინააღმდეგ თითქმის არასდროს შემდგარა. მათი საბოლოო დამორჩილება მოხდა 1864 წელს, მაგრამ ამ დროიდან დაიწყო შეუჩერებელი გადასახლება თურქეთისკენ და 400 000-მა ჩერქეზმა მიატოვა სამშობლო, რომელიც ახლა მეტწილად უკაცრიელია. მათი ტრადიციები ძალზე განსხვავებულადაა აღწერილი: მაშინ როცა ერთნი მათ თავისუფლებისთვის მებრძოლ გმირებად ხატავენ, მეორენი ხაზს უსვამენ მათ დიდ ლტოლვას ახლობლების ქონებისადმი. უცილობლად ჩანს, რომ ესენი ყაჩაღობის დიდ სურვილს უკავშირებენ მათს შუასაუკუნეების რაინდობას და ერთგულებას.

სხვა ხალხი, რომლებიც ჩერქეზებს სულიერად ენათესავებიან, არიან ზარმაცებად და არასანდოობით დახასიათებული **აფხაზები**, რომლებიც ცხოვრობენ წებელდაში და ზღვის ზოლზე ბიჭვინთასა და ენგურს შორის. მათ აღმოსავლეთ ნახევარს ჰქვია **სამურზაყანო**. ისინი არ შეერთებიან გადასახლებას და ქრისტიანები უნდა იყვნენ [12]. [აქ იგულისხმება მუჰაჯირობა, რომელიც ქართველებს არ შეხებია – გ. გ.] თუმცა მთის ხალხებში ეკლესიებისა და მღვდლების არსებობა არაა ყოველთვის იმის დამადასტურებელი, რომ ხალხი ნამდვილად ქრისტიანია.

ქედის ჩრდილოეთით, ყუბანის და კუმას ზემო დინებაზე

ცხოვრობენ **ყაბარდოელები**. მათ ქვეყანას ჰქვია **ყაბარდო**, ხოლო მის ნაწილს, რომელიც ვრცელდება აღმოსავლეთით – თერგისკენ და ვლადიკავკაზამდე, უწოდებენ **მცირე ყაბარდოს**. ხალხი, რომელიც ადრე შუასაუკუნეებში იყო ქრისტიანი, მოგვიანებით გადავიდნენ ისლამზე, დღემდე ითვლებიან ყველაზე რაინდულად. მათი ტრადიციები კავკასიელთა დიდი ნაწილისთვის მიმბაძველია (განმსაზღვრელი), ხოლო მათი ტანსაცმელი თითქმის მთელმა ქვეყანამ გადაიღო, თვით მათმა მეზობელმა ყუბანისა და თერგის კაზაკებმა. ყაბარდოელები რუსებთან მეტწილად თანხმობაში ცხოვრობენ და **შამილის [13]** ცდა, ჩაეთრიათ ყაბარდო საღვთო ომში ურწმუნოთა წინააღმდეგ, უშედეგოდ დასრულდა. გარდა ზემოდასახელებული შტოებისა, მთავარი ქედის ჩრდილოეთის ფერდის ხეობებში, იალბუზსა და ადაი-ხოხს შორის, ცხოვრობენ **თათრები**. ამის საპირისპიროდ, ზემონახსენები **სვანები**, სამეგრელოს მთებში მცხოვრები **ლეჩხუმელები** და იმერეთის მთებში მოსახლე **რაჭველები** ეკუთვნიან ქართულ მოდგმას და არა ჩვეულებრივ მთიელებისას [≈ჩრდილო კავკასიელები – გ. გ.].

2) **ცენტრალურ ჯგუფს** წარმოადგენს ერთადერთი ხალხი – **ოსები**. მართალია ისინი არ არიან განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი, მაგრამ დიდი ხანია, რაც არიან შესწავლის საგანი, რადგან ესაა ერთადერთი ხალხი, რომელთა არიული წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს. მათი ენა საშუალსპარსულია, ხოლო ჩვევები ხშირად გასაოცრად გვახსენებენ ძველგერმანულს; ასევე ხარშავენ ყოვლად მისაღებ ლუდს. მათი ტერიტორია ვრცელდება მთავარ ქედზე ადაი-ხოხიდან ცოტა ზემოთ ყაზბეგის გასასვლელამდე [14]. რაც შეეხება რელიგიას, ნაწილი მაჰმადიანია, ნაწილი ქრისტიანი, ასევე, კერპთაყვანისმცემლებიც უნდა იყვნენ მათ შორის. ყაბარდოელთა მსგავსად, რუსებთან კარგი ურთიერთობა აქვთ, რაც შამილთან ომისას რუსთათვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, რადგან ოსების ქვეყანაზე გადიოდა ბაქოსი და ტამანის ერთადერთი დამაკავშირებელი საქართველოს სამხედრო გზა.

3) **აღმოსავლეთის ჯგუფი** მთიელი ხალხისა არის, როგორც

ყველაზე მრავალრიცხოვანი, ისე საინტერესო, რადგან აქ 1839–59 წლებში წარმოებდა მწვავე რელიგიური ომი და აქ ბატონობდა შამილი როგორც მოძღვარი, გმირი და ტირანი. ორი ტიპი იოლად განირჩევა აქ – **ჩეჩნები** და **დაღესტნელები**. პირველები ცხოვრობენ **ჩეჩნეთში** კავკასიონის ფერდზე თერგისკენ და ამის ზევით. ისინი იყოფიან მრავალრიცხოვან ცალკეულ შტოებად განსხვავებული ჩვევებით და ენებით. ამ ჯგუფის ერთი ქვეგანაყოფი **„მცირე ჩეჩნეთი“**, რომელიც სახლობს ვლადიკავკაზსა და არღუნს შორის და რომელსაც ეკუთვნიან **ქისტები, ღალღაელები** და სხვა, და ჩანს, რომ საკმაოდ განსხვავდებიან სხვებისგან. საყოველთაო აზრი ჩეჩნების შესახებ არ არის სასიკეთო; მათ მიიჩნევენ ქურდებად, დაუნდობლებად და ვერაგებად. მათი ბრძოლების წესები რუსების წინააღმდეგ უმთავრესად იყო ჩასაფრებული თავდასხმები. თუმცა ჩეჩნური ხალხები ისევე ნაკლებ არიან ერთმანეთთან შეკავშირებულები, როგორც ზემოდასახელებული ჩერქეზები; და როცა შამილმა ამათგან ზოგი შტოები ძალითა და სისხლიანი სიმკაცრით თავის დროშის ქვეშ შეიყვანა, დანარჩენებმა დაიჭირეს რუსების მხარე, ანდა სულაც მშვიდად ყოფნა ამჯობინეს. *დაღესტნელები*, რა თქმა უნდა, სულიერად ყველა მთიელებზე მაღლა დგანან. მიუხედავად მკაცრი და აუთვისებელი (არაეკონომიური) მთებისა, ისინი ნაწილობრივ მისდევენ წარმოებას (ინდუსტრიას), სამაგალითოდ მოვლილ მიწათმოქმედებას, ხოლო ერთი შტო – ლიტერატურასაც კი. მათი წარმოება უმეტესად იფარგლება ფოლადისა და იარაღის დამუშავებით. მიუხედავად საფაბრიკო მოწყობილობების არქონისა (სიმწირისა), მათ შეძლეს რუსების წინააღმდეგ ხმარებული ქვემეხების ჩამოსხმა. მათს ზოგიერთ მხარეში დამზადებული ხმლის პირები ძალზე განთქმულია მთელ კავკასიაში. განსაკუთრებული ადგილი ამ მრავალრიცხოვან შტოებს შორის, რომლებიც ჩეჩნებისა და ჩერქეზების მსგავსად, განსხვავებულ ენებსა და ჩვეულებებს ფლობენ, უკავიათ **ავარიელებს**. ისინი ცხოვრობენ დაღესტნის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში, ბოთლიხსა და თემირხანშურას

შორის. მათ აქვთ წიგნიერი ენა, რისთვისაც იყენებენ არაბულ დამწერლობას; ყოველთვის მათგან გამოდიან დიდი წინააღმდეგობების ბელადები. ასევეა *ჰამრი*, შამილის დაბადების ადგილი, რომელიც მდებარეობს ავარიის მხარში. სამხრეთ დაღესტანისა და მთის ფერდობთა შტოები, რომლებიც ჩადიან ალაზნისა და მტკვრის ხეობებისკენ, გაერთიანებული არიან ერთი საერთო სახელწოდებით – **ლეკები**. ისინი ითვლებიან საიმედო მუყაით მშრომელებად. აღსანიშნავია მცირე შტოების დიდი რაოდენობა დაღესტანში, რომლებიც მცირე სოფლებად, ასევე მცირე ქოხებად ერთად არსებობენ, და ჯერაც თავის საკუთარ ენაზე საუბრობენ, რომელიც არც ერთ მათ მეზობელს არ ესმის. ეს მიუთითებს, რომ ყოფილ მიგრაციას, ალბათ უძველესი დროებიდან, თავისი კვალი დაუტოვებია, მაგრამ მთლად არ გამქრალა. ერთ-ერთი ამ მცირე ხალხთაგან, რომელიც ნუხადან აღმოსავლეთით რამდენიმე სოფელში ცხოვრობს – **უდი (უდები)** დიდხანს აღიზიანებდა ეთნოგრაფებსა და ლინგვისტებს; ერთი ნოვატორი ინგლისელი მეცნიერი, რომელიც საგანგებოდ დაკავებული იყო ამით, თვლის მათ ძველი ეგვიპტელების ნათესავებად. ის ძალა, რამაც ერთხელ მთელი დაღესტანი ერთი დროშის ქვეშ გააერთიანა, არის *ისლამი*. ალბათ, ცოტაა იმ მაჰმადიანთა რიცხვი, რომლებიც მსგავსად ერთგულებენ თავის რელიგიას, როგორც ეს მთიელები და მხოლოდ ასეთმა ერთგულებამ შეაძლებინა მარჯვე ფანატიკოს შამილს განსხვავებული ელემენტები თავისი ასკეტური ძალაუფლების მოყვარულობისთვის ემსახურებინა. მოგზაურთათვის ეს აშკარა დამოკიდებულება რელიგიაზე ქმნის კეთილისმყოფელ წინააღმდეგობას წარჩინებულთა გულგრილი სკეპტიციზმისადმი და ხშირად ბრბოს არაბუნებრივი ფანატიზმისადმი სპარსეთსა და თურქეთში. სხვათა შორის, დაღესტნურ შტოებს უქებენ სიმამაცეს და სანდოობას, ისევე როგორც პატიოსნებას ქურდული ჩეჩნების საპირისპიროდ. მათი გულითადობა არ საჭიროებს საგანგებოდ მოხსენებას, რადგან მას ხვდები გზებზე ყველგან კავკასიაში.

სხვა მთიელები არიან კიდევ **ფშავები, თუშები და ხევსურები**, რომლებიც ზემოთ მოვიხსენიეთ ქართველურ შტოებზე საუბრისას. მცირე კავკასიაში არ არიან ნამდვილი მთიელი მოსახლეები; მხოლოდ ალაგიოზისა და არარატის ფერდებზე დაეხეტება რამდენიმე ათასი მომთაბარე **ქურთი**, რომელთაგან 80 ოჯახი **იეზიდების** სექტას უნდა მიეკუთვნებოდნენ. ლენქორანის მხარე **სპარსელებითაა** დასახლებული, რომლებიც ლაპარაკობენ სპარსულის **თალიშურ** დიალექტზე და სავარაუდოდ ძველი მიდიელების შთამომავლები არიან. დაბოლოს, კავკასიის ჩრდილოეთით სტეპებში უნდა ვახსენოთ **ნოღაელები**, რომლებიც ან გათათრებული მონღოლები არიან, ან მონღოლური სისხლის თათრები; ნამდვილი მონღოლები არიან **ყალმუხები**, რომლებიც ცხოვრობენ ასტრახანის გუბერნიაში, კავკასიის ქვეყნების სიახლოვეს.

ამჯერად, მივადექით გაბატონებულ ხალხს – *რუსებს*. ამ წიგნის ამოცანა არ გახლავთ მათი საყოველთაო დახასიათება, მაგრამ მოკლედ შევეხებით კავკასიაში მათ ყოფნას. მათი რიცხვი ამ მხარეში ითვლის მილიონს. ისინი იყოფიან სამ კატეგორიად: ოფიცრები და მოხელეები, ხელოსნები და ვაჭრები, გლეხები და კაზაკები. პირველები ყველგან არიან: სოფლებსა და მთებში ნაკლებად, ვიდრე ქალაქებში. ოფიცრები, მოხელეები და უფრო მეტად სალდათები სამსახურს კავკასიაში უყურებენ, როგორც გარდამავალ საფეხურს; ხელოსანი ბრუნდება რუსეთში, როგორც კი საკმაოდ გამოიმუშავებს, ხოლო ვაჭარს საქმეს უფუჭებს კონკურენტი სომეხი. რუსი გლეხი იშვიათობაა ამ ქვეყანაში; ისინი არ არიან შეჩვეული მოახალშენეობას. მხოლოდ ორი ჯგუფია, რომლებიც წარმატებით ყვავიან; ესენია ორი სექტა – *მალაკნები* და *დუხობორები*, რომლებიც დეპორტირებულები არიან რუსეთიდან, ქვეყნისთვის სახიფათო შეხედულებების გამო. მათი დასახლებებისა და ტრადიციების შესახებ შემდგომ ქვემოთ გვექნება საუბარი. დაბოლოს, *კაზაკები* იყვნენ პირველი პიონერები რუსეთისა კავკასიაში. ჯერ კიდევ, პეტრე დიდის

დრომდე მრავალმა უკმაყოფილომ მიატოვა მშობლიური მხარე და დასახლდნენ ქედის ჩრდილო საზღვრებისკენ. ისინი მალე აითქვიფნენ მეზობელ მთიელებში, ძირითადად, ქალთა საშუალებით, რომლებიც მათ მოჰყავდათ იმათი თემებიდან; ზოგი მათ ტრადიციებს ეზიარა. ასე მაგალითად, ატარებენ ჩერქეზულ სამოსს. ამჟამად ისინი გაყვეს ორ შეიარაღებულ ძალად – *ყუბანის* და *თერგის კაზაკებად*, რომლებსაც შეუერთეს ძველი, მცირე, დამოუკიდებელი ნაწილები, როგორიც იყო სუნჯასა და თერგს შორის მდგომი *გრებენსკელი კაზაკები* და *ჩერნომორელები* (შავი ზღვიდან). თითოეული ამათგანი იყოფა რეგიმენტებად (პოლკებად); ეს უკანასკნელნი კი „სოტნებად" (ესკადრონებად), რომელიც თავიდან 100 კაცს ითვლიდა, რაც მრავალჯერ ირღვეოდა. ყოველი ნაწილი ცხოვრობს თავის რაიონში. მათი სამსახურის მონესრიგებისა და საოჯახო ურთიერთობების შესახებ ქვემოთ ითქმება. სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ ეს ნაწილები გარდაქმნას დაექვემდებარენ, ისევე როგორც დონელი კაზაკები.

ბოლო ელემენტს კავკასიის მოსახლეობისას შეადგენენ **უცხოელები;** მართალია, არ არიან მრავალრიცხოვანი, მაგრამ ქვეყანაზე საკმაო გავლენა მოახდინეს. *გერმანელებს* უკავიათ რამდენიმე კოლონია ტფილისისა და ელიზავეტპოლის გუბერნიებში [15], რომლებიც განთქმული არიან ქვეყანაში თავისი აყვავებული მდგომარეობით; ამას გარდა გერმანელები იმყოფებიან თითქმის ყველა ქალაქში და თანამდებობებზე; მაგალითად, ბ-ნ **სიმენსისა** და **ჰალსკეს** სპილენძის სამთო საწარმო [16] და ბ-ნ **ფონ კუჩენბახის** რძის საწარმოები ტფილისის სამხრეთ-დასავლეთით თათრული დასახლების შუაგულში, ანდა სასტუმროს მეპატრონე ალექსანდროპოლში [17] და მკერავი ბაქოში. *ფრანგები* დიდ ქალაქებში გვხვდებიან როგორც სასტუმროს მფლობელები, დალაქები, შლიაპების მკერავები; ასევე *იტალიელებთან* ერთად ვაჭრობენ აბრეშუმით ნუხასა და შემახაში. *ინგლისელები* წარმოადგენენ რკინიგზისა და მანქანათა ინჟინრებს. *თურქები* და *სპარსელები* ქმნიან დროებითი უცხოელების მძლავრ კონტინგენტს.

თვალში საცემი სტუმარი არის ბაქოს ცეცხლოვანი ტაძრის მქადაგებელი, რომელსაც *სტაროვერების* თემები აგზავნიან ინდოეთში წმ. ადგილებისკენ, რათა არ ჩაქრეს მუდმივი წმ. ცეცხლი. ადგილობრივი ცეცხლთაყვანისმცემლები დიდი ხანია იქ აღარ არიან.

ვფიქრობ ეს მოკლე მითითებები და გადაკრული სიტყვები საკმარისი იქნება შემდგომ წარმოდგენილი ცნობების გასაგებად; მსურს ზოგი ზედაპირული მნიშვნელობის შენიშვნა ჩავურთო, რაც ეხება შემხვედრი სახელების ორთოგრაფიას. ხშირად უყურადღებოდ ვტოვებ მკაცრ გრამატიკულ წესებს და ვცდილობ ყველა სახელი ისე გადმოვცე, როგორც მესმის. მაგალითად ვწერ „მალაკანებს“ და არა „მოლოკანებს“. მხოლოდ ისეთ სიტყვებს, რომლებიც გერმანელი მკითხველისთვის საკმაოდაა ნაცნობი, აქ ვარღვევ ჩემს გზას და ვწერ „ოდესას“ და არა „ადესას“, „კოზაკს“ და არა „კაზაკს“. ცალკეული, გერმანელებისთვის უცნობი ბგერები შემდეგნაირად გადმოვეცი: მაგარი „s“ - ს-თი, რბილი კი „z-ით, რუსული „იერი“ და თურქული მაგარი „i“ – y-თი, რუსული „ჟ“ შიშინა „შ“-თი... რაც შეეხება მახვილებს, შევნიშნავ, რომ, როგორც წესი, ყველა ადგილის სახელში ბოლო მარცვალზე მოდის. გამონაკლისია ქართული სახელები და სიტყვები „ი“-ზე, რომლებშიც ბოლოს წინა მარცვალზე მოდის მახვილი (ლუჯი, ლაილაში, ყვარელი), ისევე როგორც საკუთარ სახელებში. სხვა გამონაკლისები (ქუთაისი, ბოთლიხი, სიღნაღი) აღვნიშნე აქცენტებით.

მცირე კომენტარები

[1] აქ ჩვენ სრულად მოვიტანეთ პირველი თავის შინაარსი, თუმცა წარმოდგენილ სტატიაში ვეხებით მის ნაწილს, დაწყებულს მთავარი ქედით.

[2] ჩერქეზთა გადასახლება თურქეთში მოხდა 1864 წელს.

[3] *იუნგფრაუ* არის მწვერვალი ალპებში.

[4] მიხეილ რომანოვი (1832-1909), დიდი მთავარი; ნიკოლოზ

I-ის მეოთხე ვაჟი. გენერალ-ფელდმარშალი, არმიისა და სამხედრო ოლქის სარდალი; კავკასიის მეფისნაცვალი 1862-1881 წლებში.

[5] *ბარონი ნიკოლაი*, ალექსანდრე პავლეს ძე (1821-1899); 1863 წლიდან სენატორია და კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი. *ნიკოლაი* ბარონთა გვარია, წარმოშობით შვედეთიდან.

[6] დიმიტრი ივანეს ძე *სვიატოპოლკ-მირსკი* (1825-1899) ინფანტერიის გენერალი; იყო ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი. 1876 წლიდან დიდმთავარ მიხეილ რომანოვის თანაშემწე. თავადაზნაურთა გვარის წარმომადგენელია.

[7-13] შამილი (1797-1871) – კავკასიელი მთიელების დამოუკიდებლობისათვის რუსეთის ხელისუფლებასთან ბრძოლის მეთაური 1834-1859 წლებში; მთიელთა იმამი.

[8] ფოთი-თბილისის რკინიგზა საბოლოოდ ამუშავდა 1872 წელს; მისი გაყვანა დაიწყო 1865 წელს.

[9] იგულისხმება ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII ერეკლეს ძე (1798-1800); მისი გარდაცვალების შემდეგ „შეიერთა" რუსეთმა ქართლ-კახეთის სამეფო.

[10] სამეგრელოს მთავარმა გრიგოლ დადიანმა რუსეთის მფარველობა აღიარა 1803 წლის ოქტომბერში. გურიის მთავარმა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო 1810 წელს.

[11] ცხადია მესროპს ქართული ანბანი არ შეუდგენია. ამ ცნობის მიმწოდებელი, სავარაუდოდ, სომხური წყაროა.

[12] ჩანს, რომ სამურზაყანოს მოსახლეობა ქრისტიანი ქართველებია, რომლებსაც აფხაზთა („აფსუათა") მუჰაჯირობა არ შეხებია. საინტერესოა აფხაზთა განსახლების არეალი.

[13] იხ. მეშვიდე კომენტარი.

[14] საინტერესოა ოსთა განსახლების არეალი.

[15] ვიურტემბერგელ გერმანელთა გადმოსახლება მოხდა 1818-1819 წლებში ერმოლოვის მმართველობისას.

[16] ვერნერ ფონ სიმენსმა (1816-1892) და იოჰან გეორგ

ჰალსკემ 1847 წლის 1 ოქტომბერს დააარსეს ფირმა „სიმენსი და ჰალსკე“, რომლის წარმომადგენლობა გაიხსნა თბილისში 1860 წელს. დაიწყო სატელეგრაფო სადგურების მოწყობა თბილისიდან სხვადასხვა მიმართულებით. ამას უთავა ვერნერის ძმამ *ვალტერ სიმენსმა*, რომელსაც აღიარებდნენ კავკასიის ტელეგრაფის მამად.

[17] ალექსანდროპოლი, შემდეგ ლენინაკანი, ამჟამად გუმრი.

Gia Gelashvili

Doctor of History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Senior scientific-researcher of the Department of Modern and Contemporary History

Max von Thielmann about the Caucasus

Summary

The German diplomat and traveller Max von Thielmann visited the Caucasus in 1872. We translated one part from his work „Journey in the Caucasus, Persia and Turkey in Asia" (Leipzig, 1875) where he gives a common characterization of Caucasus. The author describes the population and divides it into two main parts – mountainous and of lowland, citizens and country people, their social rank. Thielmann recites administrative unity with numbers of their population and largeness of occupied area. He describes the lines of communication, railway line of local importance, main highways and brunch lines, navigation and mountain chain of Caucasus.